15.1 ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

15.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს, შემსყიდველი არ არის ვალდებული წარმოუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლეთა გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

15.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობით და ჩაითვალოს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

15.4 ხელშეკრულების დანართი (არსებობის შემთხვევაში) წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

15.5 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

15.6 ხელშეკრულების დამდები მხარე, რომელიც მიიღებს ასეთ გადაწყვეტილებას ვალდებულია შეატყობინოს მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი.

15.7 ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

15.8 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

15.9 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

15.10 მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

15.11 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

16. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

<u>შემსყიდველი:</u>

სსიპ ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ ხატისოფლის საჯარო სკოლა
მის: ბოლნისი სოფელი ხატისოფელი
სს ლიბერთი ბანკის ბოლნისის ფილიალი
ა/ა GE17LB012111240151400; ბანკის კოდი: LBRTGE22
საიდენტიფიკაციო კოდი 225389727

(დირექტორი) თემური მამულაშვილი ----------

<u>მიმწოდებელი:</u>

შპს „მაგთიკომი"
მისამართი – ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ№5
საიდენტიფიკაციო კოდი 204876606
სს „ვითიბი ბანკი" ბანკის კოდი **UGEBGE22**
ა/ა **GE73VT6600000000423607**
ოფისის ზედამხედველი მირიან ურუმაშვილი ----------